

განმარტებითი ბარათი
საქართველოს ორგანულ კანონში
„საქართველოს საარჩევნო კოდექსი“
ცვლილებისა და დამატებების შეტანის შესახებ

ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის თაობაზე

ა.ა კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს მოქმედი საარჩევნო კოდექსის ნორმების მოძველება. მოქმედი კოდექსი მიღებულია 2001 წლის 2 აგვისტოს, რაც მეტყველებს იმაზე, რომ კოდექსი ვერ უზრუნველყოფს დღეისათვის არსებული საარჩევნო გარემოს სრულფასოვან რეგულირებას. საარჩევნო პროცესების წარმართვისას იჩინა თავი ბევრმა საკანონმდებლო თუ ტექნიკურმა საკითხებმა, რაც კოდექსმა ვერ დაარეგულირა და ბევრ შემთხვევაში პროცესი ჩიხში შეიყვანა.

ა.ბ. კანონპროექტის მიღების მიზანი:

პროექტის შემუშავების მიზანია საარჩევნო გარემოს გამოსწორება, პროცესის რეგულაციების დახვეწა, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაწეული რეკომენდაციების გათვალისწინება. საკანონმდებლო თუ ტექნიკური საკითხების სრულფასოვნად დაარეგულირება და მორგება იმ ახალ საარჩევნო სისტემაზე რომელსაც წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს.

ა.გ. კანონპროექტის მიღების არსი:

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით შეიცვალა ცესკოს თავმჯდომარის არჩევის წესი და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „საქართველოს პრეზიდენტი არასმთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციის შედეგად შერჩეულ ცესკოს თავმჯდომარის 3 კანდიდატურას წარუდგენს ცესკოს. არჩევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ ცესკოში პარტიების მიერ დანიშნული წევრები ხმათა უმრავლესობით (გარდა წინა საპარლამენტო არჩევნებში საუკეთესო შედეგების მქონე პარტიის მიერ დანიშნული წევრისა). თუ კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, წარდგენილი 3 კანდიდატურიდან თავმჯდომარეს ირჩევს საქართველოს პარლამენტი“.

საუბნო საარჩევნო კომისიებში მდივნები ხმათა უბრალო უმრავლესობით არჩევა პარტიების მიერ დანიშნული გარდა (გარდა წინა საპარლამენტო არჩევნებში საუკეთესო შედეგების მქონე პარტიის მიერ დანიშნული წევრისა). კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს მინიმუმ 2 წევრს. თუ გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული, მდივანს წარდგენილი კანდიდატურებიდან ირჩევს კომისია სრული შემადგენლობით.

მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის“ შექმნა, რომელიც წარმოადგენს ნეიტრალურ ორგანოს და მისი ძირითადი ფუნქციები იქნება საარჩევნო სისტემების სრულყოფა, საარჩევნო რეფორმების ხელშეწყობა, სადამკვირვებლო მისიის განხორციელება, კომპეტენციის ფარგლებში წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება, საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა და დაინტერესებულ პირთა სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება ადგილობრივ და საერთაშრისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით.

კენჭსყრის პროცედურები გაწერილია ქრონოლოგიური თანამიმდევრობით და ერთად არის თავმოყრილი ყველა საჭირო ნორმა. ასევე დაკონკრეტებულია და აღმოფხვრილია ხარვეზები წილისყრის პროცედურებთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში. ამასთანავე, მკაცრდება სანქცია შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემების გადასწორებისათვის.

დაზუსტდა გამონაკლის შემთხვევებში შექმნილ საარჩევნო უბნებში ხმის მიცემის წესი, კერძოდ პოლიციის თანამშრომლებს შეეძლებათ ხმა მისცენ მაჟორიტარ კანდიდატებს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უბანი, რომელშიც ის ხმას აძლევს, მისი მუდმივი საცხოვრებლის ოლქშია. ეს წესი არ გავრცელდება შსს-ს იმ პერსონალზე, რომელიც განთავსებულია შესაბამის ყაზარმაში მუდმივი წესით ერთ წელზე მეტი ხნით.

პროექტის შესაბამისად საქართველოს პარლამენტის წევრს მიეცა უფლება თვითმმართველობის არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის გარეშე.

ამასთანავე, განცხადება/საჩივრების წარდგენის პროცედურები დაკონკრეტდა და ოპტიმალურად ჩამოყალიბდა, გასაჩივრების ვადა ზემდგომ საარჩევნო კომისიასა და სასამართლოში განისაზღვრება ორი დღით ნაცვლად ერთი დღისა.

შეიცვალა თბილისის მერის და საკრებულოს არჩევის წესი.

თბილისში ჩატარდება მერის პირდაპირი არჩევნები. მერობის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს მხოლოდ პოლიტიკურ გაერთიანებებს. არჩევნებში გამარჯვებულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მოაგროვებს სხვებზე მეტ ხმას, მაგრამ არანაკლებ 30%-ისა. თუ

ხმათა აღნიშნული რაოდენობა ვერ მოაგროვა ვერცერთმა კანდიდატმა ჩატარდება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 2 საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი. მეორე ტურში გამარჯვებულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს.

თბილისის საკრებულო შედგება 50 წევრისგან, რომელთაგანაც 25 წევრი აირჩევა ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქიდან, 25 წევრი აირჩევა პროპორციული წესით. პროპორციული წესით გასანაწილებელი მანდატები ნაწილდება იმ საარჩევნო სუბიექტებზე, რომლებიც გადალახავენ 4%-იან ბარიერს. თბილისის საკრებულოს არჩევნებში მაჟორიტარი კანდიდატის დასახელების უფლება აქვთ მხოლოდ პოლიტიკურ გაერთიანებებს. მაჟორიტარულ არჩევნებზე საარჩევნო ბარიერი არ იარსებებს. მანდატებს მიიღებს ის კანდიდატი, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მოაგროვებს.

თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების ვადები გაიზარდა და ნაცვლად 40 დღისა განისაზღვრა 60 დღით, ვინაიდან პრაქტიკამ ცხადყო, რომ არსებული ვადა წარმოშობდა გარკვეულ პრობლემებს საარჩევნო პროცესებში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

ბ.ა. კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო.

პროექტის მიღება არ საჭიროებს ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ. კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

კანონპროექტის მიღება გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ. კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ. სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

პროექტის მიღება არ წარმოშობს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადების ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

კანონპროექტით არ ხდება გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის ოდენობის განსაზღვრა.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

კანონპროექტი შესაბამისობაში მოვა საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტებს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი პავლე კუბლაშვილი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი